საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 22 0000380603

12/04/2022

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^2 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის დებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლის 28 თებერვალს № 260764 წერილით წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 07 აპრილის № 332172 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის №470522 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2020 წლის 07 ივლისს, ხოლო 2020 წლის 10 სექტემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭოს 2020 წლის 9 ოქტომბრის №970307 გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.
2.4 2021 წლის 31 დეკემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის №1245363 კორესპონდენციით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.
2.5 სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 მარტის №315134 გადაწყვეტილებით, საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
2.6. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, სააპელაციო საჩივარი, საჩივარზე თანდართული დოკუმენტაცია, სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 მარტის №315134 გადაწყვეტილება და სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი.
2.7. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 29 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, სააპელაციო საჩივრის, საჩივარზე თანდართული დოკუმენტაციის, სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 მარტის №315134 გადაწყვეტილების და სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 9 ოქტომბრის №970307 გადაწყვეტილებაში ასახული რეკომენდაციები, თუმცა, შეცვალა მათ მიერ განსაზღვრული შეფასება, კერძოდ, გაიზიარა პირველი სტანდარტის შეფასება - „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მე-2 სტანდარტი ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, შეაფასა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ცამეტი ხმით ორის წინააღმდეგ.

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 29 მარტის № 378488 სხდომის ოქმის № 2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბოლოოდ, აკრედიტაციის საბჭოს მიერ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
ა) პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანია მოქმედი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებთან.
ბ) ვინაიდან პროგრამაზე მიიღებიან ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის მაგისტრები, რომელთაც შესაძლოა არ ჰქონდეთ მე-6 ან მე-7 საკვალიფიკაციო დონის არცერთი კრედიტი სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, საჭიროა მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი კანდიდატი, რომ მან შეძლოს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევა;
გ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან; კვლევითი კომპონენტის კრედიტებში გაზომვა ვე მოხდება და უნდა მიემართებოდეს წლების ხანგძლივობას;
დ) სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტების საგანში აქცენტები კეთდება ნეირომეცნიერებებზე, მიკრობიოლოგიასა და გენეტიკაზე, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სასურველია პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სახელთან და მოიცვას „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნირებების“ სხვა დარგებიც; პროგრამაში დაემატოს 2-3 სწავლის სფეროს შესაბამისი ძირითადი საგანი;
ე) საჭიროა არჩევითი საგნების შემოტანა, რომელიც სტუდენტს დაეხმარება გარკვეული კომპეტენციებისა და ცოდნის შეძენაში, შესაბამისად კრედიტების გადანაწილება გადასახედია;
ვ) უნდა დაემატოს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა, ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება და სხვა, რათა ნათელი გახდეს, რომ უნივერსიტეტი ფიქრობს და გეგმავს ისე, როგორც პროგრამის სახელწოდებაა;
ზ) განახლდეს აკადემიური პერსონალის CV–ები, რადგან ზოგიერთი პერსონალის CV-ში არ ჩანს მათი ბოლოდროინდელი სამეცნიერო აქტივობები;
თ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არა აქვთ გამოქვეყნებული სტატიები რეიტინგულ ჟურნალებში;
ი) პროგრამაში მონაწილე პერსონალის მონაცემები უნდა იძებნებოდეს QMS ელექტრონულ ბაზაში უნივერსიტეტის ჩანაწერებში (ამ ბაზაში სისტემატიზირდება დაწესებულებების პერსონალის მონაცემები და მონაცემები აიღება შეფასების პროცესის განხორციელებისას).

რჩევები:

- ვინაიდან პროგრამაზე მიიღებიან ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის მაგისტრები, რომელთაც შესაძლოა არ ჰქონდეთ მე-6 ან მე-7 საკვალიფიკაციო დონის არცერთი კრედიტი სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, საჭიროა მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი კანდიდატი, რომ მან შეძლოს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 12 აპრილს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მე-8
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დოქტორანტურა
9	კვალიფიკაციის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები 0511
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	ნოდარ ბოხუას 11, 0159, თბილისი, საქართველო
15	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	12.04.2022
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	12.04.2023